პროლეტარებო და ხალხთა შეძულებისა, შეერთდით!

ახალგაზრდა კომუნისტი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანო
„ХАЛАЛГАЗРДА КОМУНИСТИ“ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

№ (6136) | ხუთშაბათი, 15 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 12 მარტს, 23 საათსა და 35 წუთზე, მძიმე ავადმყოფობის (მიოკარდის ინფარქტის) შემდეგ მოსკოვში გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, პოლონელი ბალხის დიდი შვილი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

ძვირფასო მეგობრებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდ სამძიმარს უცხადებენ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, პოლონეთის მთავრობასა და ხალხს იმის გამო, რომ გარდაიცვალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ბოლესლავ ბერუტი — პოლონელი ხალხის დიდი შვილი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ბოლესლავ ბერუტის სიკვდილი მძიმე დანაკლისია პოლონელი ხალხისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის. ამხანაგ ბერუტის სახით პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ და მთელმა პოლონელმა ხალხმა დაკარგეს თავიანთი ნაცადი პოლიტიკური ხელმძღვანელი და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის ორგანიზატორი.

ბოლესლავ ბერუტის სახელოვანი ცხოვრება და მოღვაწეობა შთამაგონებელ მაგალითი იქნება კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, რომელსაც სამსახურს მოახმარა მთელი თავისი ძალღონე ამხანაგმა ბერუტმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ სამძიმარს უცხადებენ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, მთავრობას, მეგობარ პოლონელ ხალხს იმის გამო, რომ გარდაიცვალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ბოლესლავ ბერუტი — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოლონეთის სახელმწიფო და ხელმძღვანელი.

ამხანაგ ბერუტის — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის, საბჭოთა ხალხის ერთგული მეგობრის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება კომუნიზმის დიდი საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. კოზლოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ი. პაღლეცკისი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. ტოპჩოროვიცკაია, მწერალი ვ. ლ. ვასილევსკაია. საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში ვ. კ. პონომარენკო.

(საკდესი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისაგან

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი დიდი მწუხარებით აუწყებს მშრომელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, რომ უდროოდ გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოლონელი ხალხის დიდი შვილი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ბოლესლავ ბერუტი.

საბჭოთა კავშირის ჭაღიშვილთა და ჭაბუკთა გულში სამუდამოდ დარჩენილ ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის ნათელი ხსოვნა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ბოლესლავ ბერუტის დაკრძალვაზე

ბოლესლავ ბერუტი

12 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბოლესლავ ბერუტი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონელი ხალხის დიდი შვილი, სოციალისტური პოლონეთის მშენებლობის უნივერსიტეტი ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ბოლესლავ ბერუტი დაიბადა 1892 წლის 18 აპრილს ქალაქ ლიუბლინში. პოლონელი მუშის ოჯახში. 1912 წლიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მუშათა მოძრაობაში. 1918 წელს პოლონეთის კომუნისტური პარტიის შექმნის მომენტიდან ბერუტი შეიყრა პოლონეთის კომუნისტურ პარტიაში და მალე მისი აქტიური მოღვაწე გახდა. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ბევრჯერ განიცადა დევნა და დაპატიმრება.

პოლონეთის ჰიტლერული okupაციის პერიოდში ბოლესლავ ბერუტი წარმოადგენდა მოძრაობის, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის პოლონელი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო. 1944 წლის 1 იანვარს იგი არჩეულ იქნა იატაკქვეშეთში შექმნილი სახალხო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს — კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტად, მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიის ჯარებმა პოლონეთის ჯარის სახელოვან მეომრებთან ერთად 1944-1945 წლებში გაათავისუფლეს პოლონეთი, პოლონელმა ხალხმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეთაურობით, რომლის ხელმძღვანელი მოღვაწე ბოლესლავ ბერუტი იყო, განახორციელა ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, და პოლონეთში დამყარდა სახალხო დემოკრატიის წყობილება.

1947-1952 წლებში ბოლესლავ ბერუტი პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იყო, ხოლო 1952-1954 წლებში — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1954 წლის მარტში იგი არჩეულ იქნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ბერუტი მთელ ძალღონეს ახმარდა პოლონელი ხალხის ბედნიერებისათვის, იხალი, სოციალისტური პოლონეთის შექმნისათვის ბრძოლას.

მთელი თავისი პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მანძილზე ბოლესლავ ბერუტი მტკიცედ იდგა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე, განუხრელად იცავდა პოლონეთის მუშათა კლასისა და მისი პარტიის საბრძოლო ტრადიციებს, პარტიისა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ნახევარი საუკუნის საერთო რევოლუციური ბრძოლით, იდეური ერთობით, მეგობრობითა და ძმობით.

თავის გამოსვლებში ბოლესლავ ბერუტი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა პოლონელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დიდ მნიშვნელობას, მოუწოდებდა სოციალისტური ბანაკის ძალების შემდგომი დაახლოებისაკენ. სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ტრიბუნიდან იგი შთაგონებით ამბობდა: „პოლონეთის მუშათა კლასის რევოლუციური ტრადიციები, მისი პოლიტიკური გაერთიანება, მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხთა მეგობრობა და დაზახმულობა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მზარდი სიბრძნეო აქტივობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიული გამირობით აღფრთოვანებული ჩაგრული ხალხების განთავისუფლებელი ბრძოლა განამტკიცებენ პოლონეთის მშრომელი მასების ნებას სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში“.

ამხანაგი ბერუტი ცნობილია როგორც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ნაცადი მოღვაწე. პოლონეთის მუშათა კლასმა, პოლონელმა ხალხმა ბოლესლავ ბერუტის სახით მოგვცეს გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ახალი, სახალხო პოლონეთის შექმნისათვის, სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობის შექმნისათვის. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მოღვაწეობაში. ომის შემდეგ იგი მონაწილეობას იღებდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს მუშაობაში.

ბოლესლავ ბერუტის სახით პოლონეთისა და ყველა ქვეყნის მშრომელებმა დაკარგეს მედგარი მებრძოლი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავდადებით მოახმარა მუშათა კლასის საქმისადმი, კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი საქმისადმი სამსახურს.

თავისი დაბადების მესამოცე წლისთავზე 1952 წელს ბოლესლავ ბერუტი ამაყად აცხადებდა, რომ ინტელექტუალური და მორალური ძალების წყარო, თვითეული ჩვენგანის ზრდისა და განვითარების წყაროა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი უსაზღვრო ერთგულება ბოლესლავ ბერუტის სულიერი სახის მთავარი ნიშანია.

ამხანაგ ბერუტის მთელი სიცოცხლე შესანიშნავი მაგალითია ყველასათვის, ვინც იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის. ბოლესლავ ბერუტის ნათელი სახე არასოდეს არ წაიშლება ჩვენს ხსოვნაში.

მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო!

ნ. ბულგანინი
ჟ. ვოროშილოვი
ლ. კაგანოვიჩი
ა. კირიჩენკო
გ. მალენკოვი
ა. მიქოიანი
ვ. მოლოტოვი
მ. პერვუხინი
მ. სუსლოვი
ნ. ხრუშჩოვი
გ. ჟუკოვი
ლ. ბრეჟნევი
ნ. მუხიტდინოვი
დ. შეპილოვი
ე. ფურცევა
ნ. შვერნიკი
ა. არისტოვი
ნ. ბელიაევი
პ. პოსპელოვი

მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები

მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, პოლონეთის მთავრობის წევრები ამხანაგები ი. ბერმანი, ა. ზავადსკი, ფ. მაზური, ე. ოხაბი და ი. ცირანკევიჩი, რომლებიც პოლონეთში გაჰყვებიან გარდაცვალებული ამხანაგის ბოლესლავ ბერუტის ცხედარს. (საკდესი).

მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვენ ბოლესლავ ბერუტს

14 მარტს, მოსკოვის მშრომელები ულანასკნელად გამოეთხოვენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბოლესლავ ბერუტს.

გლეხებს საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქში. შენობებზე გამოფენილია წითელი დროშები, რომლებსაც შემოსილებული აქვთ შავი კრეპი. ძველებური ქარხნის, საბლის ფასადი, რომელიც დარბაზში ასვენია პოლონელი ხალხის დიდი შვილის ცხედარი. წინა დღით ამ დარბაზში, ეთხოვებოდა რა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ბოლესლავ ბერუტს, გაიარა დედაქალაქის ასი ათასზე მეტმა მშრომელმა.

სვეტებიან დარბაზში გაისმის შოპენის სამგლოვიარო მარშის მწუხარე მელოდია. დილის 10 საათზე სამკერო ყარაულში ბოლესლავ ბერუტის კუბოსთან დგებიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ჟ. კ. ქუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის მთავრობის დელეგაციის წევრები — ი. ბერმანი, ა. ზავადსკი, ფ. მაზური, ე. ოხაბი, ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ლეციკოვსკი, დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენელი მარშალი ჯუ დე.

შემდეგ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები პოლონელ ამხანაგებთან ერთად მიუვენ ბერუტის კუბოს, ჯეროვანი პატივი მიაგეს მას და დაადგნენ საპატიო ვარაულში. ამ დროს ბრძანებით ცენტრალური ტელეგრაფის ოპერატორმა ყველა ქალაქის ტელეგრაფთან კავშირი გაწყვიტა და მოსკოვის ქუჩებში ერთი წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ დროს მოსკოვის ყველა ქარხნის, ფაბრიკის, სამეცნიერო დაწესებულების, სასწავლებლების, საბჭოთა არმიის ნაწილების, საზღვაო ფლოტის გემების, ატომური ყინულმჭრელების, ჩრდილოეთის პოლარული სადგურების, ანტარქტიდაზე მოქმედი საბჭოთა ექსპედიციის, ანტარქტიდის ოაზისის, ბელინსგაუზენის ზღვის ნაპირზე მდებარე მირნის სადგურის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები და მოსკოვის ოლქის სოფლის მუშაკები, ჯარისკაცები და მეზღვაურები, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მთელ კოლონას შეადგენენ მანქანები, რომლებითაც მოქვდა გვირგვინები, განსვენებულის კუბოს რომ ამკობდნენ.

მთელ გზაზე კავშირების სახლიდან ცენტრალურ აეროდრომამდე გორკის ქუჩისა და ლენინგრადის გზატკეცილის ორივე მხარეზე, აცილებენ რა სამგლოვიარო პროცესიას, მწუხარე დუმილით დგანან მშრომელები.

სამგლოვიარო მარშის ხმებში ავტომობილთა კორტეჟი აეროდრომზე შედის. ანძებზეა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. ოცი ათასამდე მოსკოველი შეიკრიბა აქ ბოლესლავ ბერუტის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე.

განსვენებულის კუბოს დგამენ კვარცხლბეკზე, რომელსაც გარს არტყია გვირგვინები. ჩამწკრივებულია ყარის ესკორტი.

ტრიბუნაზე ადიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, პოლონეთის დელეგაციის წევრები. მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგს ხსნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით იგი დიდ სამძიმარს უცხადებს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასა და მთელ პოლონელ ხალხს.

— საბჭოთა ხალხი და სხვა ქვეყნების მშრომელები ბოლესლავ ბერუტს აღნობენ როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწეს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მუშათა კლასის სამსახურის საქმეს, — განაგრძობს ნ. ა. ბულგანინი. ბოლესლავ ბერუტი ისე ნიჭიერი და მრავალმხრივი მოღვაწე იყო, რომ ძნელია გამოძებნო სათანადო სიტყვები, რათა დახატო მისი სულიერი სახე. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მთავარი თვისება. მე მხედველობაში მაქვს ამხანაგ ბერუტის უსაზღვრო ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ავრეთვე მისი დიდი ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეისადმი.

ნ. ა. ბულგანინი ლაპარაკობს, რომ ბოლესლავ ბერუტი დაუცხრომლად მოუწოდებდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრებსა და პოლონეთის ყველა მშრომელს განამტკიცონ ძმური სოლიდარობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან. დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასთან და მოძმე პარტიებთან. ამასთან ერთად იგი იყო თავისი შშრომელიური პოლონეთის დიდი პატრიოტი.

სახალხო პოლონეთის მშრომელებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, ამაში უსაზღვროდ დაეხმარებოდა მოყვარე ბოლესლავ ბერუტს — სოციალისტური პოლონეთის მშენებლობის ნიჭიერ ორგანიზატორს.

— საბჭოთა ხალხი, — თქვა შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა, — ბოლესლავ ბერუტს იცნობს როგორც საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობარს და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის აქტიურ დამცველს. ამხანაგი ბერუტი მუდამ და ყველგან ხაზგასმით ლენინურად, რომ საჭიროა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. ვერავინ და ვერასოდეს, აღნიშნავდა იგი ერთგული თავის სიტყვაში, ვერ შეარყევს ამ მეგობრობას, რომელიც გამოწრთობილია დიდ ისტორიულ მოვლენათა ცეცხლში, რომელიც ემყარება ძმურ ურთიერთდახმარებასა და თანაშრომლობას. საბჭოთა კავშირთან სახალხო პოლონეთის მეგობრობაზე ამხანაგი ბერუტი ღაპარაკობდა თავის უკანასკნელ სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე.

სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ორლოვი. იგი ღაპარაკობს ბოლესლავ ბერუტის სახელოვან ცხოვრებაზე, რომელიც მაგალითია ხალხის ინტერესებისადმი თავგანწირული სამსახურისა, ღაპარაკობს მის შემდგომ ბრძოლაზე პოლონელი დასაბამოთა ხალხების კავშირისა და ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის.

მოსკოვის მუშების გულწრფელ თანაგრძნობაზე პოლონეთის მშრომელებისადმი, რომლებმაც ამხანაგ ბერუტის სახით დაკარგეს მებრძოლი მებრძოლი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოსკოვის მშრომელების ძმური სოლიდარობისა და თანაგრძნობის მხურვალე გრძნობები. ეს გრძნობები კიდევ უფრო დარაზმავენ ჩვენს ხალხებს და სულ უფრო განამტკიცებენ სოციალიზმის უძლეველ ძალებს.

მიტინგი დამთავრდა. ორკესტრი ასრულებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნებს. კუბოს პოსტამენტიდან აიღებენ და გვირგვინებიანად ფრთხილად გადაასვენებენ თვითმფრინავში.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. მანქანა გადის სასტარტო ბილიკზე. ათასობით მოსკოველი ახდის ქუდს. 11 საათსა და 10 წუთზე თვითმფრინავი ჰაერში აღის და კურსს იღებს ვარშავისაკენ.

* * *

ვარშავას გაუმგზავრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები ამხანაგები ი. ბერმანი, ა. ზავადსკი, ფ. მაზური, ე. ოხაბი და ი. ცირანკევიჩი, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ლეციკოვსკი, ბოლესლავ ბერუტის ოჯახის წევრები და ახლობლები.

(საკდესი).